სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ამერიკისმცოდნეობა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია: ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი / MA in American Studies

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ელენე მეძმარიაშვილი.
კონსულტანტი: რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი მაიკლ როკლენდი

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) მიზანი - სამაგისტრო პროგრამა ინტერდისციპლინარულია. ის მიზნად ისახავს აშშ-ის ყოველმხრივ შესწავლას და, როგორც მკვლევარი, ასევე, პრაქტიკოსი ამერიკისმცოდნეების მომზადებას, რომლებსაც ეცოდინებათ ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო: ისტორია, ფილოსოფია, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, სულიერი და მატერიალური კულტურა.
აშშ-ის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ამერიკელი ხალხის თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის ანალიზი კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს გახდეს პროფესიონალი ამერიკისმცოდნე, რომელიც შეძლებს ამ ზესახელმწიფოს მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ ობიექტური ცოდნის გამოყენებას საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ.
პროგრამაში შეტანილი კურსები მრავალფეროვანი, ძირითადად, ინტერდისციპლინარულია, რის გამოც სწავლების პროცესში ჩართული არიან სხვადასხვა ფაკულტეტისა და მიმართულების (ზოგიერთ შემთხვევაში კი, სხვადასხვა უნივერსიტეტის) პროფესორები. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სტენფორდისა და რატგერსის უნივერსიტეტების პროფესორები, რომლებიც ჩაატარებენ ლექციების ციკლს ამერიკის საზოგადოებისა და კულტურის საკითხებზე ინტერნეტის (ე.წ. ვიდეო კონფერენციების) მეშვეობით და კონსულტაციას გაუწევენ, ან უხელმძღვანელებენ სამაგისტრო ნაშრომებს.
სწავლების პროცესში, აქტიურად არის ჩართული პროგრამის კონსულტანტი, რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როკლენდი. გათვალისწინებულია მისი ერთობლივი კურსი ქართველ პროფესორთან ერთად. პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ სხვა ამერიკელი პროფესორებიც, (მაგ. პენსილვანიის უნივერსიტეტიდან) რომლებიც სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც ჩაატარებენ ლექციების მოკლე კურსს, ცალკეულ ლექციებს, ან ინტერნეტ კურსებს. პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო ემპირიულ და თეორიულ ცოდნას, არამედ შემდგომი ინდივიდუალური, თუ კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
ჩვენი ძირითადი კურსები კონცენტრირებულია ინტერესების რამდენიმე სფეროზე, კერძოდ, პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებზე, ამერიკის ფილოსოფიაზე, ლიტერატურასა და კულტურაზე.

ბ) მოსალოდნელი შედეგები: პროგრამის დასრულების შემდგომ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნასა და შეეძლოს შემდეგი საკითხებისა და პრობლემების გაცნობიერება:

- ამერიკის ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს: ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, საზოგადოების, სულიერი და მატერიალური კულტურის მიმართულებით;
- აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ქვეყნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების, ასევე, ამერიკელთა თვითმყოფადობის, მულტიკულტურული, პოლიეთნიკური, პოლიკონფესიური საზოგადოების თავისებურებების, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების, კულტურისა და პრესის, ლიტერატურის გაცნობიერება;
- ნებისმიერი სფეროდან (ისტორია, ფილოსოფია, ლიტერატურა, ეკონომიკა, კულტურა და ა.შ.) ამერიკისმცოდნისათვის აუცილებელი აქტუალური პრობლემებისა და მიღწევების ცოდნა და გაცნობიერება;
- აშშ-საქართველოს მრავალმხრივი ურთიერთობის ისტორიისა და მისი განვითარების პერსპექტივების გაცნობიერება, ასევე, ამერიკაში ქართული დიასპორის ისტორიისა და მისი თანამედროვე პრობლემების ისტორიის ცოდნა;

მაგისტრს უნდა შეეძლოს:

- აშშ-ის და ლათინური ამერიკის ქვეყნების როგორც მიღწევების, ასევე პრობლემების ცოდნის გამოყენება, საკუთარი ქვეყნის პრობლემების უკეთ გაცნობიერებისა და მათი გადაჭრის გზების მოძიება;
- ნებისმიერი ასპექტით (ისტორიული, ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური, პოლიტიკური) იკვლიოს ამერიკული ფენომენი, განსაზღვროს მსოფლიო ფილოსოფიურ და პოლიტიკურ-მორალურ აზრთან მიმართებაში მისი ადგილი.
- ინგლისურ და ესპანურენოვანი ლიტერატურისა და პროფესიული წყაროების კითხვა-თარგმნა. ენის თავისუფლად გამოყენება სოციალურ, აკადემიურ და პროფესიულ თემებზე სასაუბოდ.
- გარდა ამისა, ის დახელოვნდება გუნდურ მუშაობაში, რეფერატისა და ესსეს წერაში, პრეზენტაციების მოწყობაში; ჩამოუყალიბდება ანალიტიკური აზროვნებისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები, რომლებიც ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის საწინდარია.

გ) დასაქმების სფეროები:

სამეცნიერო-კვლევითი და მთარგმნელობითი ცენტრები, უმაღლესი სასწავლებლები (აკადემიური თანამდებობის გარდა), ამერიკულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები, ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები, ბიბლიოთეკები, გამომცემლობები, მასმედია.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- დაიშვებიან ნებისმიერი განათლების მქონე ბაკალავრები.

- პროგრამაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან სამაგისტრო გამოცდას.
- სამაგისტრო პროგრამა «ამერიკისცოდნეობა» არ მოითხოვს სამუშაო გამოცდილების ქონას, ანუ 2009 წელს ბაკალავრიატის კურსდამთავრებულსაც ამ პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვს.
- ინგლისურ ენაში (B2 დონე) მისაღები გამოცდა ჩატარდება თსუ-ში, დადგენილი წესის შესაბამისად.

მატერიალურ ტექნიკური ბაზა

სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიო-თეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო ბიბლიოთეკების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს კომპიუტერული ბაზა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა, შესაბამისი ვიდეო და აუდიოტექნიკა.

ამერიკამცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1	აშშ-ის ინსტიტუციური წყობა (ინგ.)	სავალდებულო	5
2	ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორია	სავალდებულო	5
3.	თანამედროვე ამერიკის რელიგიები	სავალდებულო	5
4	ამერიკული პრაგმატიზმი და კონტინენტური ტრანსცენდენტალიზმი	სავალდებულო	5
5	ამერიკის თვითმყოფადობა	სავალდებულო	5
6	აშშ-ის საგარეო პოლიტიკა (ჯ.ვოშინგტონიდან ჯ.ბუშამდე)	სავალდებულო	5
7	აშშ-ის სოციალური ინსტიტუტები (სემინარი)	სავალდებულო	5
8	ამერიკა და ამერიკული ყოფა აშშ-ის კინემატოგრაფში	სავალდებულო	5
9	ქალი ამერიკის კულტურასა და პოლიტიკაში	სავალდებულო	5

10	ქართული დიასპორის ისტორია აშშ-ში	სავალდებულო	5
11	ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის	სავალდებულო	5
12	ბიზნესი და ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში: ისტორია და კონცეფციები	სავალდებულო	5
13	1960-იანი წლების ამერიკა	არჩევითი*	5
14	ბრწყინვალე ათწლეულიდან უმძიმეს კრიზისამდე 1920-1930-იანი წლების ამერიკა	არჩევითი	5
15	დამოუკიდებლობისათვის ომი და აშშ-ის შექმნა	არჩევითი	5
16	აშშ-ის პრესის პოლიტიკური ანალიზი (ინგ.)	არჩევითი	5
17	თანამედროვე ამერიკის ჩამოყალიბება	არჩევითი	
18	1950-იანი წლების ამერიკა	არჩევითი	5
19	ამერიკული სახვითი ხელოვნება	არჩევითი	5
20	ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები (ინგ.)	არჩევითი	5
21	ჰოლივუდი და თანამედროვე ამერიკული ლიტერა	არჩევითი	5
22	ჯაზი და ამერიკის ურბანული კულტურა	არჩევითი	5
23	ამერიკული კლასიკური ლიტერატურა და კინო	არჩევითი	5
არჩევითი კურსები სხვა პროგრამებიდან			
1	ფოლკნერის რომანის პოეტიკა და მოდერნიზმი (ინგლისური ფილოლოგია)	არჩევითი	5
2	ამერიკული ლიტერატურა ისტორიულ და ფილოსიფიურ კონტექსტში კოლონიური პერიოდიდან XIXს. ბოლო მეოთხედამდე (ინგლისური ფილოლოგია)	არჩევითი	5
3	ამერიკული ლიტერატურა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ კონცეფციათა განვითარების დინამიკაში (ინგლისური ფილოლოგია)	არჩევითი	5
5	XX ს 20-30 წლების ესსეისტიკა (ინგლისური ფილოლოგია)	არჩევითი	5
6	ბრიტანული და აშშ-ის კულტურათა შეპირიპირებითი ანალიზი (ინგლისური	არჩევითი	5

	ფილოლოგია)		
8	XX საუკუნის ლათინო ამერიკული რომანი (რომანული ფილოლოგია)	არჩევითი	5
9	ესპანური ენა 1,2,3	არჩევითი	**15**
10	გლობალიზაციის პროცესი და ნაციონალური იდენტობა (პოლიტიკური ფილოსოფია)	არჩევითი	5
11	ამერიკული პოლიტიკური ფილოსოფია (პოლიტიკური ფილოსოფია)	არჩევითი	5
12	გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია (პოლიტიკური ფილოსოფია)	არჩევითი	5
13	თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა)	არჩევითი	5
14	სამუზეუმო საქმე (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა)	არჩევითი	5
15	ხელოვნებათმცოდნეობის ისტორია (კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა) [იხ. თბილისის სამხატვრო აკადემიის სამაგისტრო პროგრამა ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში]	არჩევითი	5
16	ტერორიზმი აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	5
17	რეფორმები თუ რევოლუცია: დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და აშშ-ის მაგალითზე(ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	5
18	ქალი XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში (ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	5
19	ისლამური ფუნდამენტალიზმი (ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	10
20	მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია (ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	5

21	ცივი ომი და საბჭოთა კავშირის დაშლა (ახალი და უახლესი ისტორია)	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი	**სავალდებულო**	**30**

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა ჩატარდება ინგლისურ ენაში (დონე B2), წერითი სახით და შეფასდება 100 ქულიანი სისტემით.

კონსულტაციებისათვის გამოცდასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიმართოთ ასოცირებული პროფესორს ელენე მეძმარიაშვილი

e-mail: elene.medzmariashvili@tsu.ge

ტელ. 899988423